

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური

და მმართველობის ანგარიშგებები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	11
5. ამონაგები რეალიზაციიდან და შემოსულობა მოსავლის აღებისას	11
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12
7. კომერციული ხარჯები	13
8. ადმინისტრაციული ხარჯები	13
9. საპროცენტო ხარჯები	13
10. ძირითადი საშუალებები	14
11. ბიოლოგიური აქტივები	15
12. გაცემული სესხი	15
13. სასაქონლო მატერიალური მარაგები	15
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
15. გადასახადები	16
16. ფული და ფულის ექვივალენტები	16
17. საწესდებო კაპიტალი	17
18. მიღებული სესხები	17
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	18
21. პირობითი ვალდებულებები	19
22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	19

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ	21
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	22
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	23
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	23
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	23
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	24
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მუხმან კაპიტალის“ ხელმძღვანელობას და მეწილეებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის ეფექტის გარდა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2019 და 2018 წლის წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ასევე კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგებს 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები რისი აუდიტიც ჩავატარეთ:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;
- კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის;
- კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის;
- კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის; და
- კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის შიდა კონტროლის სისტემა და სააღრიცხვო ჩანაწერები ვერ უზრუნველყოფს მოძრავი ქონების მიკვლევადობას და იდენტიფიცირებადობას. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება რათა დავრწმუნებულიყავით მიწა და შენობა-ნაგებობების გარდა სხვა ჯგუფებში წარდგენილი ძირითადი საშუალებების რაოდენობრივ სიზუსტესა და არსებობაში. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა წარდგენილ ძირითად საშუალებებთან მიმართებაში.

ჯგუფმა ვერ მოგვაწოდა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაცია ძირითადი საშუალებების ნაწილის ისტორიულ ღირებულებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო მტკიცებულებები ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 463, 476 და 490 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატავად.

სხვა საკითხები

ჯგუფის ფასს-ის შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის სხვა აუდიტორებმა ჩაატარეს, რომლებმაც ხსენებულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით გამოსცეს უპირობო დასკვნა.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 20-25 გვერდებზე) მოიცავს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ანგარიშგება. არ აღმოგვიჩენია რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგები წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფის

ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

30 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო.

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

30 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო.



შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები რეალიზაციიდან	5	11,142	9,492
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(6,889)	(5,343)
საერთო მოგება		4,253	4,149
მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება, ნეტო	5	79	671
სხვა საოპერაციო შემოსავალი		94	36
კომერციული ხარჯები	7	(1,176)	(1,338)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,172)	(2,259)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(64)	(63)
საოპერაციო მოგება		1,014	1,196
საპროცენტო შემოსავალი		46	35
საპროცენტო ხარჯი	9	(503)	(397)
საკურსო მოგება/(ზარალი)		(320)	50
მოგება გადასახადების გადახდამდე		237	884
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		237	884
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(38)	572
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		275	312
		237	884

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:

ნინო აბრამიშვილი
დირექტორი

შპს „ზუზმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები რეალიზაციიდან	5	11,142	9,492
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(6,889)	(5,343)
საერთო მოგება		4,410	4,820
მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება, ნეტო	5	79	671
სხვა საოპერაციო შემოსავალი		94	36
კომერციული ხარჯები	7	(1,176)	(1,338)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,172)	(2,259)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(64)	(63)
საოპერაციო მოგება		1,014	1,196
საპროცენტო შემოსავალი		46	35
საპროცენტო ხარჯი	9	(503)	(397)
საკურსო მოგება/(ზარალი)		(320)	50
მოგება გადასახადების გადახდამდე		237	884
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		237	884
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(38)	572
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		275	312
		237	884

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:



ნინო აბრამიშვილი
 დირექტორი

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	9,678	8,522	8,595
საინვესტიციო ქონება	10	1,816	-	-
ბიოლოგიური აქტივები	11	1,795	1,037	1,001
არამატერიალური აქტივები		21	11	11
გაცემული სესხი	12	103	92	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,413	9,662	9,607
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	4,185	5,652	3,073
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	1,485	2,846	2,027
საგადასახადო აქტივი	15	107	-	146
ფული და ფულის ექვივალენტები	16	713	818	216
სულ მიმდინარე აქტივები		6,490	9,316	5,462
სულ აქტივები		19,903	18,978	15,069
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	17	147	147	147
გაუნაწილებელი მოგება		4,693	4,731	4,159
სულ მფლობელის კაპიტალი		4,840	4,878	4,306
არამაკონტროლებელი წილი		587	312	-
სულ კაპიტალი		5,427	5,190	4,306
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	18	8,893	8,008	6,645
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,893	8,008	6,645
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულება	15	-	19	-
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	18	2,830	2,405	1,533
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	2,753	3,356	2,585
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,583	5,780	4,118
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		19,903	18,978	15,069

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელის კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2018	147	4,159	4,306	-	4,306
მიმდინარე წლის მოგება	-	572	572	312	884
31 დეკემბერი 2018	147	4,731	4,878	312	5,190
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		(38)	(38)	275	237
31 დეკემბერი 2019	147	4,693	4,840	587	5,427

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საოპერაციო საქმიანობა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული შემოსავალი	237	884
შესწორებები:	638	499
ცვეთა და ამორტიზაცია	397	397
ფინანსური შემოსავალი	(34)	(35)
ფინანსური ხარჯი	183	416
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	1,421	2,161
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	4,775	(4,310)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	1,178	(1,235)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	(107)	146
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(603)	771
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(19)	19
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	6,645	(2,448)
გადახდილი პროცენტი	(324)	(84)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან/ (საქმიანობაზე)	6,321	(2,532)
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(4,972)	1,357
ბიოლოგიური აქტივების შესყიდვა	(813)	(87)
საინვესტიციო ქონება	(1,890)	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(11)	(1)
გაცემული სესხის უკან მიღება	-	(454)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან/ (საქმიანობაზე)	(7,686)	815
ფინანსური აქტივობები		
აღებული სესხი	2,258	2,705
სესხის დაფარვა	(1,021)	(783)
მიღებული პროცენტი	23	397
წმინდა ფული გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში	1,260	2,319
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/ (შემცირება)	(105)	602
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	818	216
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	713	818

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს შუხმან კაპიტალი (შემდგომში კომპანია) როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაარსდა საქართველოში 2013 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405013248. ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მეწილეები იყვნენ:

- ნინო აბრამიშვილი - 51%
- ბურხარდ კრისტიან შუხმანი - 49%

ძირითადი საქმიანობა. შპს შუხმან კაპიტალის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შვილობილი კომპანიების მართვა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თელავის რაიონი, სოფელი კისისხევი.

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2019	2018
შპს შუხმან ვაინს ჯორჯია	ღვინის წარმოება/რეალიზაცია	80%	80%
შპს შუხმან რიალ ისთეითი	ვილების მშენებლობა/რეალიზაცია	60%	60%
შპს შუხმან ჰოტელს მენეჯმენტ ენდ სერვის გრუპი		100%	100%

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფმა მოამზადა ანგარიშგება განსხვავებული კონცეპტუალური საფუძვლების გამოყენებით. კერძოდ, ანგარიშგება მომზადდა, ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში დაიდენტიფიცირდა გარკვეული შეუსაბამოები წინა სტრუქტურული საფუძვლების მოთხოვნებთან, ასევე სხვა შეცდომები გასულ პერიოდებში წარდგენილ თანხებში. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ასევე მნიშვნელოვნად შეიცვალა ანგარიშგების და ახსნა-განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურა. შესაბამისად მენეჯმენტს მიაჩნია, რომ პრაქტიკულია ფინანსური ანგარიშგება მომზადდეს იმ დაშვებით, რომ გასულ პერიოდებში ჯგუფს არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მს ფასს-ზე გადასვლამ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

მს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და სტანდარტების რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა გამოიყენა, როგორც სავალდებულო ისე ნებაყოფილობითი გამონაკლისები.

რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლება

ჯგუფმა გადაწყვიტა გამოეყენებინა შემდეგი ნებაყოფილობითი გამონაკლისი რეტროსპექტიული გამოყენებიდან გათავისუფლებისთვის:

საწარმოთა გაერთიანება - ჯგუფმა გამოიყენა მს ფასს-ის 35.10 (ა) განყოფილებით დაშვებული შეღავათი და 2018 წლის 1 იანვრამდე მომხდარ საწარმოთა გაერთიანებების მიმართ არ გამოიყენა, მე-19 განყოფილება - „საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი“ მოთხოვნები. აღნიშნული საწარმოთა გაერთიანებების მიმართ თავდაპირველი აღიარების დროს, საწარმომ შეაფასა გუდვილი/ხელსაყრელი შესყიდვა საწარმოთა გაერთიანების ღირებულების შეპირისპირებით შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულებასთან, რაც შეფასებულია შეძენის თარიღისათვის შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებით.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით; 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალური შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს

წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2019 და 2018 წლის წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი რისკის ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება

წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

3. მნიშვნელოვანი საარგებლო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	10 დან 50
მანქანადანადგარები და აღჭურვილობა	5 დან 50
სპეციალური ავტოები	10 დან 50
საოფისე ინვენტარი და ავეჯი	2 დან 15
რესტორნისა და სასტუმროს ავეჯი და ინვენტარი	2 დან 20
სატრანსპორტო საშუალებები	5 დან 15
სხვა აქტივები	5 დან 20

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვისთვის ის საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, ძირითადი საშუალებების შემდგომ აღრიცხვაში გამოყენებული პოლიტიკის შესაბამისად. კომპანია საინვესტიციო ქონებების აღსარიცხად იყენებს თვითღირებულების მოდელს.

ბიოლოგიური აქტივები. ჯგუფის ბიოლოგიური აქტივები მოიცავს ვენახებს, ვინაიდან ამ ბიოლოგიური აქტივების კატეგორიისთვის, რეალური ღირებულების ადვილად განსაზღვრა მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, შეუძლებელია ჯგუფი ბიოლოგიურ აქტივებს აფასებს თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ჯგუფი ბიოლოგიური აქტივების ცვეთის კალკულაციისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

ჯგუფი ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებულ სოფლის მეურნეობის პროდუქცია აფასებს რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო სავარაუდო დანახარჯები, ნაყოფის მიღების მომენტში.

ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ნაყოფის მომცემი ვენახები	18 - 30 წელი
სხვა აქტივები	15 - 75 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

მარაგებად კლასიფიცირებული უძრავი ქონება

ჯგუფში შემავალი კომპანია ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვის, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, ქმნის უძრავ ქონებას რომელიც საწყისი აღიარებისას აღირიცხება, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თვითღირებულებაში შედის:

- მიწის თვითღირებულება;
- სამშენებლო მასალებში გადასახდელი თანხები, ქვეკონტრაქტორებზე გაწეული დანახარჯებისა და პირდაპირი შრომითი დანახარჯების ჩათვლით;
- დაგეგმარებისა და დაპროექტების დანახარჯები, ობიექტის მომზადების ხარჯები, მშენებლობის ზედნადები ხარჯი და სხვა შესაბამისი დანახარჯები.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასს, საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. აღნიშნული თანხა დისკონტირდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად (თუ სხვაობა არსებითია), რაც რა თქმა უნდა მცირდება დასრულებისთვის აუცილებელი დანახარჯით და გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო ხარჯებით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგებაზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

სახელმწიფო გრანტი. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი რწმუნება, რომ: ა) კომპანია შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს; და ბ) გრანტი იქნება მიღებული. სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ კომპანიას არ ექნება იმის საკმარისი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და მიიღებს გრანტს.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **საგაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და ჯგუფის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება. ჯგუფის მიერ აღებული მოსავალი შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით მოსავლის აღების დროისთვის. ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების მომენტში საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ყურძნის საბაზრო ფასით შეფასებასისას ჯგუფი ხელმძღვანელობს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე და პერიოდის განმავლობაში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით.

5. ამონაგები რეალიზაციიდან და შემოსულობა მოსავლის აღებისას

	2019	2018
ამონაგები ღვინის რეალიზაციიდან	7,061	6,426
ამონაგები ვილების რეალიზაციიდან	1,601	1,143
ამონაგები სასტუმროს მომსახურებიდან	1,272	895
ამონაგები სარესტორნო მომსახურებიდან	956	824
ამონაგები სპის მომსახურებიდან	197	173
სხვა	55	31
სულ	11,142	9,492

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ამონაგები რეალიზაციიდან და შემოსულობა მოსავლის აღებისას (გაგრძელება)

მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება შემცირებული მოყვანის დანახარჯებით:

	2019	2018
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილში გადატანილი აღებული მოსავლის (ყურძენი) სამართლიანი ღირებულება	573	1,196
მოსავლის მოყვანის დანახარჯები	(494)	(525)
	79	671

მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულების შემცირება გამოწვეულია 2019 წელს მიღებული შემცირებული მოსავლით, რაც უკავშირდება სეტყვას, გვალვას და სხვა არახელსაყრელი გარემო პირობებს.

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2019	2018
რეალიზებული ღვინის თვითღირებულება (ა)	(4,400)	(3,800)
რეალიზებული ვილების თვითღირებულება	(861)	(397)
სასტუმროს პირდაპირი დანახარჯები (გ)	(734)	(636)
რესტორნის პირდაპირი დანახარჯები (ბ)	(806)	(497)
სპის პირდაპირი დანახარჯები	(9)	(6)
სხვა ხარჯები	(79)	(7)
სულ	(6,889)	(5,343)

(ა) რეალიზებული ღვინის თვითღირებულება

	2019	2018
წარმოების პირდაპირი დანახარჯები	(4,166)	(3,568)
ცვეთის ხარჯი	(234)	(232)
სულ	(4,400)	(3,800)

(ბ) რესტორნის პირდაპირი დანახარჯები

	2019	2018
სახელფასო ხარჯი	(272)	(235)
სამზარეულოს მარაგების ხარჯის	(222)	(173)
დეგუსტაციის ხარჯი	(90)	(78)
კომუნალური ხარჯები	(55)	(53)
ცვეთის ხარჯი	(40)	(38)
დასუფთავების ხარჯები	(31)	(24)
სხვა	(24)	(35)
სულ	(734)	(636)

(გ) სასტუმროს პირდაპირი დანახარჯები

	2019	2018
სახელფასო ხარჯი	(337)	(246)
ცვეთის ხარჯი	(174)	(95)
კომუნალური ხარჯები	(88)	(53)
მართვაში აღებული სასტუმროს ნომრების საფასური	(83)	-
კვების ხარჯი	(78)	(65)
დასუფთავების ხარჯები	(31)	(24)
სხვა	(15)	(14)
სულ	(806)	(497)

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. კომერციული ხარჯები

	2019	2018
ხელფასები	(300)	(241)
საშუამავლო ხარჯი	(237)	(174)
რეკლამის ხარჯი	(193)	(249)
ტრანსპორტირების ხარჯი	(174)	(107)
ექსკლუზივის ხარჯი	(66)	(47)
ფრენჩაიზის ხარჯი	(60)	(39)
გამოფენის ხარჯი	(58)	(415)
ცვეთა და ამორტიზაცია	(15)	(16)
სხვა	(73)	(50)
	(1,176)	(1,338)

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
ხელფასები	(907)	(810)
პროფესიული მომსახურების ხარჯები	(230)	(204)
რემონტის ხარჯი	(151)	(207)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	(146)	(185)
უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვი	(142)	(30)
ცვეთა და ამორტიზაცია	(117)	(73)
დაზღვევა	(71)	(75)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(57)	(43)
საწვავის ხარჯი	(48)	(40)
ანარიცხის ხარჯი	(41)	(386)
მივლინების ხარჯები	(41)	(42)
სხვა ხარჯები	(221)	(164)
სულ	(2,172)	(2,259)

9. საპროცენტო ხარჯები

	2019	2018
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებულ სესხებზე	(187)	(73)
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული ფიზიკური პირისგან მიღებულ სესხებზე	(316)	(286)
სხვა	-	(38)
სულ	(503)	(397)

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანადანად გარები და აღჭურვილობა	სპეციალური ავზები	საოფისე ინვენტარი და ავეჯი	რესტორნისა და სასტუმროს ვეჯი და ინვენტარი	სატრანს- პორტო საშუალებები	სხვა აქტივები	სულ	საინვესტიციო ქონება
1 იანვარი 2018	998	5,285	1,718	1,349	295	713	279	263	10,900	-
შემოსვლა	298	1	7	14	16	48	2	178	564	-
გასვლა	(102)	-	-	-	-	-	-	(88)	(190)	-
31 დეკემბერი 2018	1,194	5,286	1,725	1,363	311	761	281	353	11,274	-
შემოსვლა	424	1,353	26	-	14	45	57	155	2,074	1,890
გასვლა	(388)	-	-	-	-	-	-	(22)	(410)	-
31 დეკემბერი 2019	1,230	6,639	1,751	1,363	325	806	338	486	12,938	1,890
დაგროვილი ცვეთა										
1 იანვარი 2018	-	(724)	(751)	(268)	(105)	(305)	(111)	(41)	(2,305)	-
ცვეთა	-	(168)	(108)	(40)	(27)	(66)	(23)	(15)	(447)	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	-	(892)	(859)	(308)	(132)	(371)	(134)	(56)	(2,752)	-
ცვეთა	-	(191)	(105)	(41)	(30)	(72)	(26)	(43)	(508)	(74)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	(1,083)	(964)	(349)	(162)	(443)	(160)	(99)	(3,260)	(74)
წმინდა საბალანსო ღირებულება										
1 იანვარი 2018	998	4,561	967	1,081	190	408	168	222	8,595	-
31 დეკემბერი 2018	1,194	4,394	866	1,055	179	390	147	297	8,522	-
31 დეკემბერი 2019	1,230	5,556	787	1,014	163	363	178	387	9,678	1,816

გამომდინარე იქიდან, რომ საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, საინვესტიციო ქონება წარდგენილია თვითღირებულებით ძირითადი საშუალებების აღრიცხვაში გამოყენებული პოლიტიკის შესაბამისად. სრულად გაცვეთილია 356 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები. ტურისტული საწარმოს სტატუსის მოსაპოვებლად საინვესტიციო ქონების ნაწილი 301 ლარის ღირებულების აქტივი დატვირთულია იპოთეკით. საინვესტიციო ქონება მოიცავს კომპანიის მიერ აშენებულ ვილებს, რომლებსაც კომპანია იყენებს სასტუმროდ ფუნქციონირების პროცესში. კომპანიამ ვილების მშენებლობა დაასრულა 2019 წელს და ამავე პერიოდში დაიწყო მათი გაქირავება დეტალებისთვის იხილეთ 21-ე შენიშვნა.

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ბიოლოგიური აქტივები

	ნაყოფის მომცემი ვენახები	ზრდადაუსრულებელი ვენახები	სხვა აქტივები	სულ ბიოლოგიური აქტივები
1 იანვრი 2018	1,337	133	8	1,478
შემოსვლა	-	84	3	87
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბრი 2018	1,337	217	11	1,565
შემოსვლა	-	810	3	813
გასვლა/ჩამოწერა	137	(137)	-	-
31 დეკემბრი 2019	1,474	890	14	2,378
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვრი 2018	(475)	-	(2)	(477)
ცვეთის ხარჯი	(50)	-	(1)	(51)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბრი 2018	(525)	-	(3)	(528)
ცვეთის ხარჯი	(55)	-	-	(55)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბრი 2019	(580)	-	(3)	(583)
საბალანსო ღირებულება				
1 იანვრი 2018	862	133	6	1,001
31 დეკემბრი 2018	812	217	8	1,037
31 დეკემბრი 2019	894	890	11	1,795

12. გაცემული სესხი

მსესხებელი	ვალუტა	განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
დაკავშირებულ იურიდიულ პირზე	ლარი	13%	2028	103	92	-
გაცემული სესხი						
სულ				103	92	-

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
დაუმთავრებელი წარმოება	2,804	3,276	2,517
ნედლეული და წარმოების დამხმარე მასალა	645	524	438
დაუმთავრებელი მშენებლობა	539	1,568	-
მზა პროდუქცია	131	232	132
სხვა მარაგები	66	52	35
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	4,185	5,652	3,122
მარაგების გაუფასურების რეზერვი	-	-	(49)
სასაქონლო მატერიალური მარაგები, ნეტო	4,185	5,652	3,073

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	2,083	2,197	2,107
გაცემული ავანსები	87	158	85
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეზე	25	1,160	120
სხვა მოთხოვნები	3	3	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები სულ	2,198	3,518	2,313
რეზერვი უიმედო და საეჭვო მოთხოვნებზე	(713)	(672)	(286)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ნეტო	1,485	2,846	2,027

უიმედო და საეჭვო მოთხოვნებზე შექმნილი რეზერვის მოძრაობა:

	2019	2018
ნაშთი წლის დასაწყისში	(672)	(286)
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებიდან	(182)	(425)
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვი ავანსებიდან	(1)	9
პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილი მოთხოვნები	142	30
ნაშთი წლის ბოლოს	(713)	(672)

15. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული ბანკში	707	816	214
ფული სალაროში	6	2	2
სულ	713	818	216

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 147 ლარს. ინფორმაცია ჯგუფის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

18. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხი

	ვალუტა	განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
დაკავშირებული ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხი	ევრო	4%	2035	(5,712)	(5,261)	(5,113)
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	ლარი	12%- 12.50%	2022	(2,790)	(2,048)	(566)
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	დოლარი	12%-13%	2021	(385)	(695)	(962)
დაკავშირებული ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხი	ლარი	4%	მოთხოვნამდე	(6)	(4)	(4)
სულ გრძელვადიანი სესხები				(8,893)	(8,008)	(6,645)

გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი

დაკავშირებული ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხი	ლარი	4%	მოთხოვნამდე	(1,429)	(1,408)	(1,383)
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	ლარი	12%- 12.50%	2022	(739)	(677)	-
დაკავშირებული ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხი	ევრო	4%	მოთხოვნამდე	(511)	(189)	(34)
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	დოლარი	12%-13%	2021	(141)	(122)	(107)
დაკავშირებული ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხი	დოლარი	4%	მოთხოვნამდე	(10)	(9)	(9)
სულ მოკლევადიანი სესხები				(2,830)	(2,405)	(1,533)

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. მიღებული სესხები (გაგრძელება)

ჯგუფი სარგებლობს აწარმოე საქართველოს პროგრამით, რაც ითვალისწინებს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობებისთვის აღებული სესხის პროცენტის სუბსიდირებას სახელმწიფოს მხრიდან სესხის აღებიდან ორი წლის განმავლობაში მაქსიმუმ წლიური 10%-ის მოცულობით. სესხის პროცენტის სუბსიდირება წარმოადგენს სახელმწიფოსგან მიღებულ გრანტს და წარმოდგენილია მიმდინარე პერიოდის საპროცენტო ხარჯის შემცირებით.

აღებული სესხების მიზნობრიობას წარმოადგენდა ვენახის გაშენება. სესხის ხელშეკრულებით ჯგუფს არ აუღია ვალდებულება დაეკმაყოფილებინა გარკვეული ფინანსური კოეფიციენტები.

ასეთი სახით მიღებულმა გრანტმა შესაბამისად 2019 და 2018 წლებში შეადგინა 136 და 42 ლარი.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(1,849)	(1,673)	(1,954)
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	(416)	(446)	(282)
გადასახდელი ხელფასები	(336)	(259)	(111)
მიღებული ავანსები	(119)	(83)	(220)
დაკავშირებული მხარიდან მიღებული ავანსები	-	(865)	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(33)	(30)	(18)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები სულ	(2,753)	(3,356)	(2,582)

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობა	2019	2018
საპროცენტო ხარჯი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(316)	(286)
საპროცენტო შემოსავალი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	11	6

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	25	1,160	120
სავაჭრო ვალდებულება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(416)	(446)	(282)
გადახდილი ავანსი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	-	(865)	-
გაცემული სესხები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	103	92	-
მიღებული სესხები	მეწილე	(7,662)	(6,867)	(6,539)

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2019	2018
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	459	465

21. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე

კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. **ვალდებულება დაკავშირებული ტურისტული საწარმოს სტატუსთან.** ჯგუფმა, საკუთარი წარმოების ვილებზე მოიპიჯა ტურისტული საწარმოს სტატუსი. ტურისტული საწარმოს სტატუსი გაიცემა თითოეული ობიექტის მიხედვით და გულისხმობს შემდეგს: ამ სტატუსის მქონე ვილების რეალიზაციისას არის დღგ-ს გადახდისგან ჩათვლის უფლებით განთავისუფლებული. თუმცა შენობის ექსპლუატაციაში მიღებიდან არა უმეტეს 10 კალენდარული წლის განმავლობაში ამავე ვილის ოპერირების დროს დადგენიებული დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა თუ არ აღემატება, ვილების რეალიზაციის ღირებულებას, მაშინ კომპანია ვალდებულია გადაიხადოს ბიუჯეტში აღნიშნული უარყოფითი სხვაობის შესაბამისი დღგ 18%-იანი განაკვეთით.

ტურისტული საწარმოს სტატუსი აქტიურდება, პირველი ვილის გაქირავებიდან და გააქტიურდა 2019 წლის აპრილიდან, 2019 წლის ბოლოსთვის რეალიზებული იყო 4 ვილა, ჯგუფმა წლის ბოლოსთვის გააკეთა შეფასება მოსალოდნელია თუ არა მომავალში დამატებული ღირებულების გადახდის ვალდებულების დადგომა, ჯგუფის შეფასებით, შესაძლებელია დღგ-ს სრულად ამოღება არსებული დატვირთვის და შემოსავლის გათვალისწინებით.

22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19-ის (Coronavirus) შესახებ. წლის ბოლოს უცნობი ვირუსის რამდენიმე შემთხვევა იყო ცნობილი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისათვის. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსის გლობალურმა გავრცელებამ და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მოიმატა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი და უარყოფითი შედეგები წარმოადგენს არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენას. ჯგუფის ბიზნესიდან გამომდინარე პანდემიის პერიოდში ჯგუფს არ შეუწყვეტია ფუნქციონირება და შეძლო მომგებიანობის შენარჩუნება 2020 წლის განმავლობაში, ამდენად მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფუნქციონირებადობას საფრთხე არ ემუქრება. მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას პანდემიის ეფექტების შესამსუბუქებლად.

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

შპს შუხმან კაპიტალი, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფი“) რომლებიც არიან ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, დაარსებული არიან და მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს „შუხმან კაპიტალი“ დაფუძნდა და საქმიანობა დაიწყო 2013 წელს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შპს „შუხმან კაპიტალის“ მესაკუთრეები არიან:

- ნინო აბრამიშვილი - 51%
- ბურხარდ კრისტიან შუხმანი - 49%

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შპს „შუხმან კაპიტალის“ დირექტორი იყო ნინო აბრამიშვილი.

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

დედა კომპანიას 2019 წლის განმავლობაში საოპერაციო საქმიანობა არ განუხორციელებია.

ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ღვინის წარმოება და რეალიზაცია როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ბაზრებზე;
- სასტუმრო მომსახურების გაწევა;
- სარესტორნო მომსახურების გაწევა;
- ვილების მშენებლობა და შემდგომი რეალიზაცია;

ჯგუფის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2019	2018
ამონაგები ღვინის რეალიზაციიდან	7,061	6,426
ამონაგები ვილების რეალიზაციიდან	1,601	1,143
ამონაგები სასტუმროს მომსახურებიდან	1,272	895
ამონაგები სარესტორნო მომსახურებიდან	956	824
ამონაგები სპის მომსახურებიდან	197	173
სხვა	55	31
	11,142	9,492

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

ამჟამად ჯგუფი 15-ზე მეტი დასახელების ვაზის ჯიშისგან წარმოებულ პროდუქციას, კერძოდ: ღვინოს, ჭაჭას და ცქრიალა ღვინოს ამზადებს. ჯგუფმა ასევე გამოუშვა, სრულიად ახალი ხაზის –პროდუქციაც, კერძოდ ყურძნის წიპწის ზეთი.

ჯგუფის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის ღვინის რეალიზაციაზე, საიდანაც 89% წარმოადგენს ექსპორტზე რეალიზაციას, ხოლო 11% ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციას. ჯგუფი პროდუქციას 20-ზე მეტ ქვეყანაში ყიდის. შუხმანის ღვინოები ევროპის, აზიისა და აშშ-ს ბაზრებზეა წარმოდგენილი.

ადგილობრივ ბაზარზე ჯგუფი ღვინის რეალიზაციას ახორციელებს საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის საშუალებით.

ჯგუფის ერთ-ერთ საქმიანობას წარმოადგენს მცირე ზომის ვილების მშენებლობა, მათი რეალიზაცია და უკან დაბრუნება მართვაში. ვილები მესაკუთრეებს ბარდება სრული რემონტით. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა და დეველოპმენტი, ხოლო ვილების ექსპლოატაციაში მიღების შემდეგ ჯგუფი იწყებს სასტუმროს მართვას. მშენებლობა მიმდინარეობს კახეთში, კისისხევში.

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ (გაგრძელება)

ჯგუფი მომსახურებას ეწევა სასტუმრო და სარესტორნე მიმართულებით, საიდანაც გენერირებული ამონაგები შეადგენს სრული ამონაგების 20%-ს.

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის გენერალური დირექტორი 2019 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ნინო აბრამიშვილი. წესდების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.

ჯგუფი შედგება დედა კომპანიისგან-შპს შუხმან კაპიტალი და ოთხი შვილობილი კომპანიისგან:

შვილობილი კომპანია	2019	2018
შპს შუხმან ვაინს ჯორჯია	80%	80%
შპს შუხმან რიალ ისთეითი	60%	60%
შპს შუხმან ჰოტელს მენეჯმენტ ენდ სერვის გრუპი	100%	100%

დედა კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად არის ჩართული ჯგუფში შემავალი კომპანიების როგორც სტრატეგიული ასევე მოკლევადიანი საოპერაციო მიზნების ჩამოყალიბება-იმპლემენტაციის პროცესში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2019 წლის შემოსავალმა შეადგინა 11,141 ათასი ლარი, ჯგუფის შემოსავლები 2019 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 15%-ით. განსაკუთრებული ზრდით გამოირჩეოდა ღვინის რეალიზაცია ექსპორტზე. აღნიშნული მაჩვენებლის პროცენტული ზრდა შეადგენდა 13%-ს. 2019 წელს ასევე გაიზარდა სასტუმრო და სარესტორნე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი, ვინაიდან 2019 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ჯგუფის მიერ აშენებული ვილები, რომელიც ფუნქციონირებს როგორც სასტუმრო.

ძირითადი კოეფიციენტები:

	2019	2018
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.16	1.61
მოგების მარჟა	39%	44%
უკუგება კაპიტალზე (ROCE)	1.2%	4.6%
სულ აქტივები	19,903	18,978
სულ შემოსავლები	11,142	9,492
დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი	170	229

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: ჯგუფში საერთო დასაქმებულების საშუალო რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა 170 (2018-229). ჯგუფს აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

როგორც დამქირავებელი, პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს ეძლევათ კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობა, საქმიან სამუშაო გარემო და კონკურენტუნარიანი ხელფასი.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

ჯგუფი მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული ერთ მომწოდებელზე. საოპერაციო ხარჯების, გაყიდვის გეგმების და სხვა სტრატეგიული საკითხების კუთხით მენეჯმენტს აქვს მუდმივი კავშირი როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ მომწოდებლებთან და რეგულარულად ხდება შედეგების შეფასება და მომავალი სამოქმედო გეგმების შეთანხმება.

კომპანიის ძირითად კლიენტებს წარმოადგენენ არარეზიდენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯგუფის პროდუქციის ექსპორტს უცხოურ ბაზრებზე.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება შემდეგი მარეგულირებელი ნორმებით:

- საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“;
- საქარელოს მთავრობის 2014 წლის 03 იანვრის N3 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესების დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 19 თებერვლის ბრძანება N2-82 “ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- სხვა ნორმატიული აქტები.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. ამავდროულად იმის ხაზგასმა, რომ მომხმარებლებს იგი სთავაზობს სანდო მწარმოებლის მიერ დამზადებულ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, რომელსაც ბაზარზე გააჩნია მაღალი ცნობადობა.

ჯგუფის განვითარების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- სარეალიზაციო პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოვება
- სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიცირება და გაფართოვება.

ჯგუფი ასორტიმენტის გაფართოვებას გეგმავს საკუთარი წარმოების ვენახიდან მიღებული მოსავლით. ჯგუფი აგრძელებს ვაზების გაშენებას და 2019 წლის ბოლოს მის საკუთრებაშია 122 ჰა-ზე გაშენებული ვენახი. ჯგუფის მიზანია წარმოება სრულად უზრუნველყოს საკუთარი ვენახიდან მიღებული მოსავლით. ყურძნის საკუთარი წარმოების პირობებში ჯგუფი სრულად გააკონტროლებს აგროწესების დაცვას, რაც საბოლოოდ აისახება წარმოებული ღვინის ხარისხში.

ჯგუფის ხელმძღვანელობა სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიცირებას გეგმავს ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებით, არხების გაუმჯობესებით და მიზნობრივი მარკეტინგით ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლებით.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2019 წელს ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2019 წელს არ მომხდარა ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

შპს „შუხმან კაპიტალი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2019	2018	გადახრის ახსნა
სასაქონლო მატერიალური მარაგები	4,185,470	5,652,031	შენიშვნა 1
საინვესტიციო ქონება	1,816,216	-	შენიშვნა 1
ძირითადი საშუალებები	9,677,982	8,522,213	შენიშვნა 2
ბიოლოგიური აქტივები	1,794,593	1,037,066	შენიშვნა 2
სესხები	11,722,249	10,413,032	შენიშვნა 3

შენიშვნა #1:

ჯგუფის სასაქონლო მატერიალური მარაგები შემცირება და საინვესტიციო ქონების ზრდა გამოწვეულია ჯგუფის მიერ აშენებული ვილების კლასიფიკაციის ცვლილებით მარაგების მუხლიდან საინვესტიციო ქონების მუხლში.

შენიშვნა #2:

ძირითადი საშუალებების და ბიოლოგიური აქტივების ზრდა დაკავშირებულია ჯგუფის მიერ წლის განმავლობაში ახალი ვენახების გაშენებასთან. ბიოლოგიური აქტივის ანგარიშზე კაპიტალიზებულია 2019 წელს გაშენებული ვენახზე გაწეული დანახარჯები, ხოლო შესაბამისი ინფრასტრუქტურა გაერთიანებულია ძირითადი საშუალებების მუხლში.

ძირითადი საშუალებების ზრდა ასევე გამოწვეულია სასტუმროს ინფრასტრუქტურის განახლებით.

2019 წელს ჯგუფმა ასევე შეიძინა მიწა და სატრანსპორტო საშუალებები.

შენიშვნა #3:

2019 წელს სასესხო ვალდებულებების ზრდა გამოწვეულია ჯგუფის მიერ ახალი საბანკო სესხის აღებით, რომლის მიზნობრიობას წარმოადგენდა ახალი ვენახების გაშენების დაფინანსება.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2019	2018
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3 716.9	3 723.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	17.7	17.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,763.50	4,722.00
მშპ-ის რეალური ზრდა, %	5.10%	4.80%
საშუალო წლიური ინფლაცია	4.90%	2.60%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,310.80	1,306.30
უმუშევრობის დონე, %	11.60%	12.70%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით,

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული რამდენიმე მსხვილ კონტრაგენტზე. ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და ჯგუფის შესაბამის პოლიტიკაზე. ჯგუფში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ჯგუფის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით და განხორციელებული რეალიზაციებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად ჯგუფი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:

ნინო აბრამიშვილი
გენერალური დირექტორი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული რამდენიმე მსხვილ კონტრაგენტზე. ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და ჯგუფის შესაბამის პოლიტიკაზე. ჯგუფში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ჯგუფის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით და განხორციელებული რეალიზაციებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად ჯგუფი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:



ნინო აბრამიშვილი
გენერალური დირექტორი